

გაზეთის ფასი

მაგნიფიკატი	მაგნიფიკატი
მთის წლისა — 6 მ. კაპ.	5 მან. კაპ.
ნახევარის წლისა — 3 " "	2 " 50
სამის თვისა — 1 " 75	1 " 50
მთის თვისა — " " 60	" " 50
საღვ. ნომრისა — " " 12	" " 10

განცხადება „დროებაში“

დასაბუქლო, მიიღება სხვა-და-სხვა ენებზე. ფასი განცხადებისა ჩვეულებრივის ასობით, სტრიქონზე 4 კაპ. და ასო-მთავრულებით — ასოზე 1/4 კაპ.



საქართველოს პრესის ცენტრი

მიიღება თფილისში: „დროების“ რედაქციის კანტორაში, სოლოლაკზე სოლომონ მირიანაშვილის სახლში.
ქუთაისში: გერასიმე ქალანდარიანი (სასულიერო სასწავლებელში) და სე. მესხთან.
ბარეში მცხოვრებთა შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნები:
Въ Тифлисъ. Въ контору редакции газети „ДРОЕБА“.

გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკეობით.

საკრედიტო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მკვირი

ზინაბარი:

საქართველო: მთილისში წყლისა და გაზის გაყვანა — ამავე საქმეზე „დროებისა“ და „მზაის“ ტელეგრაფები — წერილი ამბები — ხსენება ქალაქის საგამგებოში წყლისა და გაზის საქმეზე — „დროების“ კორრესპონდენტი: ტირანისიდან — რუსეთი: წერილი ამბები — უცხო ქვეყნებში: საფრანგეთი — სამართალი: ბაზენის პროცესი — მოფიცართ მსაჯულებზე, პ. ჩაჩქავისა — ბიბლიოგრაფიული განცხადებები.

საქართველო

მთილისი, 1 ნოემბერს 1873

მს ერთი კვირა, რაც მთილისის საზოგადოება გაზისა და წყლის მეტზე არაფერზე ჰქვირობს, სჯის და დაობს. ძარვ პირობებზე გასცა ეს საქმე ქალაქმა, თუ ცუდზე, გარიგდება თუ დაიშლება საქმე, გამოსადეგია თუ არა მისი პირობები კამპანიისთვის, — ამ კითხვებზე თავს იმტერვენ დიდი და პატარანი, სახლში და ქუჩაზე, საქმიანობის თუ უსაქმობის დროს. დიდათ სასიამოვნოა, რომ საზოგადო საქმე, რომელიც მთელ ქალაქს შეეხება, ერთხელ მაინც სძრავს მთელ საზოგადოებას და მის ყურადღებას იქცევს თავის თავზე. ამისთანა გაფხიზლებულ გამოკვლევას და ცნობის სურვილს ჩვენ პირველჯერ ვამჩნევთ აქაურ საზოგადოებას, და ღმერთმა ჰქნას, რომ სხომისაც საზოგადოება ხშირათ აქცევდეს თავის ყურადღებას ჩვენს საერო და საზოგადო საქმეებზე.

საქმე დღეს აი როგორ მდგომარეობაშია, სხვა და სხვა მიზეზებს გამო უფ. თფილისის თავსმჯდომარეს, იანონ მთუმანოვს, ასრულებსაში არ მოუყვანია საქალაქო გამგებობის გადაწყვეტილება, შემდგარი წარსული მაინის თერთმეტს, რომლის ძალით ქალაქს გაზეთებში დაბეჭდილი განცხადებებით უნდა გამოეწვია მსურველები ჩვენს ქალაქში გაზისა და წყლის გაყვანისა. მს დაგვიანება, სხვათა შორის, იმიტომაც მომხდარა, რომ უფ. რუკოს ქალაქის გამგებობისთვის წინადადება მიუცია, მე გიშოვნით კამპანიას, რომელიც უკეთეს პირობებზე იკისრებს ამ საქმის ასრულებას. ამ წინადადებების განხილვა უკისრია უფ. მთუმანოვს, და რადგანც მისი აზრით ეს წინადადება დიან სასარგებლო ყოფილა ქალაქისთვის, იმას, თავისი საკუთარი მოაზრებით, შეუჩერებია გადაწყვეტილების ასრულებასაში მოყვანადა სხვა მსურველების გამოწვევა. მკვი არ არის, ქალაქის თავს კანონიერი უფლება კი ჰქონდა ამგვარათ დაეგვიანებია გადაწყვეტილების ასრულებასაში მოყვანა; მაგრამ საქირო იყო თუ არა ამ „კანონიერი უფლების“ ხმა, და სასარგებლო იყო თუ საფიქრებელი მა-

ინც რუკოს პირობების მიღება — ამას მომავალი გეგმავს. აქ კი ეხლავე შეიძლება ვთქვათ, გადაწყვეტით, რომ ამგვარი მძიმე და სპეციალური საქმის განხილვის და გადაწყვეტის დროს, როგორც უფ. ქალაქის თავი, ისე მთელი გამგებობაც აჩქარებით მოიქცენ და საქმაო წინდახედულება არ იხმარეს, რომ საქმე გონიერათ და ხეირიანათ დაეგეგმოს. მთელმა მთილისმა იცის, რომ არც ერთს წვევს გამგებობისას ჯგეროვანი ცოდნა არა აქვს არც იმ ტენიურნაწილში, რომელიც გაზის და წყლის გაყვანას შეეხება, არც ფინანსებისა და კამპანიების საქმეებში. მს საძრახისი და სათაკილო როლია: შეიძლება რომ ეს საგნები არ იცოდეს კაცმა და მაინც ძლიერ გონიერი, პატიოსანი და სასარგებლო კაცი იყოს თავის ქალაქისა და ქვეყნისათვის. მაგრამ გონიერი კაცები რომ იმისთანა საქმეს შეემთხვევიან, რომელსაც არ იცნობენ, ან ვერ იგებენ, იმას მაინც ცდილობენ, რომ მცოდნე კაცები მოიწვიონ, მათი დახმარებით საქმე გაიგონ, ყველა მისი დაბრკოლებები გაიციონ, და ნათლათ დაინახონ როგორც მისი ავი ისე კარგი. ამ გვართ წყევანილი საქმე — სუფთა, წმინდა და სინდისიანი საქმე იქნება. მაშინ მის წამყვანლებზე ვერც იქვს შემოიტანს ვერაინ, ვერც ბრალისდადებას გახედავს, აქაო და საქმე წაფუფუნოს, ვერც ძრახვას და ლანძღვას დაიწყებს — უმეტრულათ და გაუგებრათ წაიყვანეს ამამძიმე საქმეო, — ვერც ერთს და ვერც მეორეს.

საუბედუროთ, ჩვენში თითქმის ყველას ეთაკილება გამოტყდეს — ესა და ეს სპეციალური ცოდნა არა მაქვს; ყველას უნდა, რომ მისი თავი დანაჩინ ქვეყანას ყოვლისმცოდნე მეცნიერთა მიანდეს, და რაგინდ მძიმე საქმე ჩაუფარდეს იმათ ხელში, თავს მოიკლავენ, და გამოტყდომას კი არ იკადრებენ — ეს საქმე არ გაგვეგებოა, რჩევა მოგვეცით როგორ და რა ნაირათ წაიყვანოთ, სად ვიკითხოთო, ვის რა უთხრათო და სხვ. და რადგანც ამგვარ ახირებულ კაცებს თავიანთი თავის იქვი აქვთ, რადგანც ისინი დარწმუნებული არიან, რომ მათ მოქმედებაში ან შეცდომა ან უმეტრება იქნება გარეული, ისინი ყველაზე უფრო იმას ცდილობენ, რომ, საქმე გაუშვან და ენებოთ, ჩუმათ, შინაურულათ, თავისიანებს შუა, გარიგონ, ისე რომ სხვამ არა გაიგოს რა მისი, თუნდ მერმე ხლაფოთის და ალიაქოთის ატენის იმედც და რწმუნებაც ჰქონდეთ...
საკვირველი სანახავი იყო იმ დღეს ჩვენი გამგებობის სხდომა, რომელიც ამ გაზისა და წყლის საქმეს სწევდდა. ჯერ არაის მტკი-

ცეთ და საფუძელიანათ არ გაეგო — ვისთან, რომელ კამპანიასთან, რა გვარ კაცებთან და რანაირი კაცების შუამდგომლობით იკავებდენ საქმეს, და ყველანი კი იმაზე სჯიდენ, აი ესა და ეს წერილმანი მუხლი და პირობა მივილოთ თუ არაო. ჯერ არაინ იცოდა პარიჟელ კამპანიასთან იკავებს ქალაქი საქმეს, თუ ლონდონელთან, პარიჟელ კამპანიასზე მოიწვია კარგი ცნობები რუსეთის აგენტმა, თუ ლონდონელზე, აქვს ნამდვილი მინდობილება უფ. რუკოს რომელიმე კამპანიისა თუ არა, და იმსაგანზე კი ხანგრძლივ ბაასობდენ, რა მდგომარეობაში უნდა დაუბრუნოს ქალაქს კამპანიამ, რომოცდა თოთხმეტი წლის შემდეგ, თავისი გაზის და წყლის გაყვანის გაწყობილება, ჩარხები, შენობები და მილები! აცს ხმა არ ამოულია იმ საგნებზე, თუ რა და რა სიტყვებით გამოსახულია უფ. რუკოს მინდობილება, რამოდნათ პასუხის მგებელია კამპანია უფ. რუკოს სიტყვებში და დაპირებებში, რამდენი დღის განმელობაში უნდა შემოიტანოს უფ. რუკომ დაპირებული ბე, რა სახით და როდის უნდა მიეცეს იმას კანტრაქტის პირობის შემოტანის უწინ, თუ შემდეგ, რა ქალაქი უნდა ჰქონდეს იმას ხელში ბეს შემოტანამდი და სხვ. და სხვ. და მთელი სალაშო კი მოანდომეს იმ კითხვის განხილვას, თუ რამოდნათ სასარგებლო იქნება მცენარეებისათვის და პირუტყვებისთვის ქალაქში წყლის გაყვანა და სხვ. — შეელო ეს შენიშვნები გვიმტკიცებენ, რომ მთელი საქმის წყევანა გამოუტყდელი პირების ხელში ყოფილა, თორემ, აბა უმთავრესი საგნების განხილვამდი უმნიშვნელო წერილმან მუხლებზე ლაპარაკი და დევა რა ნაირათ ატყდებოდა.

ჩვენ სრულიად არ გვიანდა კვალში ჩაუღვთ საქალაქო გამგებობას და მისი შეცდომები და უსაფუძელიობა გამოვანაშკაროთ. შოველი დასაწყისი ძნელია, და შეუცდომელი მართო ის არის დედი მიწის პირობა, ვინც არაფერს აკეთებს. მაგრამ ყოველ შეცდომამდი დირსეული დასკვნა და მაგალითი უნდა გამოიყვანოს ხეირიანმა კაცმა. საქალაქო გამგებობა საზოგადობრივი საქმეა; დიდი ცდით და მოთმენით ღირსებია ის მთილისს, და სხვა ჩვენი ქალაქები იმ დღეს მოუთმენელათ შენატრიან, როცა საზოგადობრივი გამგებობა იმათაც მიენიჭებათ. მაშასადამე თფილისელი გამგებობა ნიადგინის ცდაში უნდა იყოს, რომ თავისი შეცდომით ან უხეირო მოქმედებით იმ პირებს გული არ გაუხაროს, რომელთაც საზოგადობრივი საქმის წყევანის არა სწამთ რა. ამ მდგომარეობაში მეტის მეტათ საქი-


როა ყოველი საქმის ნათლათ და გონიერათ წყევანა, შეცდომის მოწინაება, შემდეგისთვის თავის შეკავება და სიფრთხილე, რომ სხომისაც არაინ გავებას იმისთანა ახირებულ მახეში, რომელშიაც ეხლა თფილისელი საქალაქო გამგებობა ჩაბმულია. აი ამ საქიროების მიხედვით „დროება“ დააპირა ლონისდაგვარად დახმარებოდა თფილისელ საზოგადოებას და თვით გამგებობასაც, ამ საქმის ზოგიერთი გაუგებარი მხარეის განათებით, მისი გარემოებების აწერით და ახალი ცნობების შეკრებით იმის თაობაზე, თუ როგორ დაწყებულა და გაწყობილა ეს ჩვენი გაზისა და წყლის საქმე.

ნ. სკანდელი

უფ. რუკოს წინადადებაში ნათქვამი იყო, რომ მე წარმადგენელი ვარ „მთელ მეტროპოლისის სახელ განთქმული კამპანიის Societ6 generale-ისა.“ რადგანც მთელ მეტროპოლისის სახელ განთქმულია მართო პარიჟელი Societ6 generale და რადგანც ჩვენ არ ვიცნობთ ლონდონში არც ერთ კამპანიას, რომელსაც ამისთანა სახელი ჰქონდეს, ჩვენ მივაკითხეთ პარიჟელი კამპანიის Societ6 generale-ის მმართველს, იმის შესატყობლათ, თუ მართლა ეს კამპანია კისრულობს მთილისში გაზისა და წყლის გაყვანის საქმეს. აი რა პასუხი მოგვივიდა ჩვენ ამის თაობაზე: „პარიჟი, 6 ნოემბერს (25 ოქტომბერს) 1873 „დროების“ რედაქციას „ჩვენ სრულიად არ ურევივართ თფილისელი გაზისა და წყლის გაყვანის საქმეში, და არც არაინა გეყავს მანდ ჩვენ წარმომადგენელათ.“

ბოროცა

ჩვენ დიდხანს ვეძებთ ჩვენს ინგლისურ წიგნებში, კალენდრებში და გაზეთებში ლონდონელი კამპანიის Societ6 generale limited-ის სახელი, მაგრამ ვერ ვიპოვეთ ვერასაშუალებით. ჩვენ ხელში გვაქვს, მაგალითად, ლონდონელი თინანსიური გაზეთი The Economist, რომელშიაც ჩამოთვლილია ყველა ლონდონელი კამპანიების სახელები, მაგრამ ამ გაზეთისისაში Societ6 generale (limited) არ სწერია. ამას გარდა საკვირველია, რომ ლონდონელ, ესე იგი ინგლისურ. კამპანიას ფრანკო-სახელი დაურქმევია და მერმე ისე, რომ ნახევარი სახელი (Societ6 generale) ფრანკო-სახელია და ნახევარი (limited) — ინგლისური. ლონდონში დაარსებულ კამპანიას თლათ ინგლისური, ან თლათ ფრანკო-სახელი სახელი მაინც ექნებოდა, და ინგლისურათ, ხომ, Societ6 generale (limited) კი არა, The general society იქნებოდა. დაუმატებთ აქ, რომ გამგებობას უნდა მო-



მკითხველებს: 1866-დგან ვიდრე 1873 წ. ამ ავთომყოფობისათვის სრული ყურადღება მქონდა მიქცეული და ყოველივე ღონისძიებაც არ ღამრჩენია ამ შემთხვევისათვის უზარებელი. ხშირათ ენახვილი ხოლმე ვახებზედ მტევენებს დანაცრულებს და წახლდრებს, იქვე მხედებოდა ხოლმე ერთი გვარი ყურძენი სრულებით საღს მდგომარებაში, ამას რასაკვირველია ვაძლევი შემთხვევით მორჩენის მნიშვნელობას. რაკი ღრო და ღრო თვალყური ვადენენ, ნამდვილათ დავრწმუნდი, რომ ამ გვარ ყურძენს, რომელსაც ქართლში ვაძლამ და ვაძლამ მხარეში უწოდებენ სახელად ჩინურ ყურძენად (ზოგან სანთელას), არ ეყრებოდა ავთომყოფობა; ამის გამო რაც შეიძლება და ჩემს ვენახში შეუდექი ამ ჩინურის ყურძენის გამრავლებას, რომლიდანაც ღვინო კარგი სდგება და თვით ამისი ვაზიც ისხამს საკმაოდ უხვად.

ეს სწორეთ ცნობის მოყვარეთათვის დიდათ საინტერესო არის*). ჩემის მხრით თუ რაიმე საფუძვლიანი ცნობა მივაკვლიე, მაშინ ამასაც ვაცნობებ „დროების“ მკითხველებს.

ამასთანავე ესეც უნდა დავუმატო, რომ ჩემის მხრით არ ვიჭვენებოდა, ამავე ყურძენის ღირსება არა ჰქონდეთ ამ შემთხვევაში შენიშნული ზოგიერთს ვენახის მკატრონებს.

ი. სულხანაოვი.

რუსეთი

— „პეტერბურლის უწყებებში“ სწერენ, რომ სარატოვში შემდგარა „გაქორებული კაცების დამხმარე საზოგადოება“, რომლის მიზანი ის არის, რომ შეეწიონ ახალგაზდა მოსწავლე ყმაწვილებს, რომელთაც მაღალი სწავლის მიღება სურთ. ჯერ ჯერობით ამ საზოგადოებას შეადგენს 130 წევრი, კაპიტალი 2500 მან. აქეთ, რომელიც მოგროვილა წევრების შემონატანი ფულებიდან; გარდა ამისა სხვებსაც მრავალი შეუწირავთ. ნუ თუ ამნაირი მაგალითები ჩვენ არ დავგაფიქრებს და არ მოგვავიწყებს საწყალს ჩვენს ახალ-გაზდაბას, რომელნიც ასასობით მშვიერი არიან სხვა და სხვა უნივერსიტეტებში, მრავალიც უსაშველოობით რჩებიან უსწავლელნი?

— „პეტერბურლის უწყებების“ იმავე ნომერში სწერენ, რომ პენზის გუბერნიაში ერთ სამხარო ერობის გამგეობაში შემოუტანიათ განცხადება, რომელშიაც მოხსენებულია სურვილი, რომ მრთელი იმ მუხრის ნახანგ-ნათესავს უზრუნველ-მყოფელობა დაეცეს, რომ, ვინცობაა სეტყვამ გააფუჭოს ნათესი, ხალხი მშვიერი არ ღარჩესო. სამხარო ერობის გამგეობას ეს საშველება უნახავს ძრიელ სასარგებლოთ და შეუტანიათ განსახილველათ გუბერნიის ერობის გამგეობაში. აი, მკითხველო, თქვენ ნათლათ ხედაეთ, თუ ერობა რა არის და როგორი სარგებლობა მოაქვს იმას რუსეთის ხალხში; ჩვენში კი არც ერობაა, არც კაცები ჩნდებიან რათიმე შეეწიონ გაქორებულ ხალხს. საშინელი ვაზის ავთომყოფობაა, აბრეშუმი არ მოდის, სეტყვა, გოლვა ყველაფერს აფუჭებს...

რამდენი სენები არ ადევს ჩვენს ხალხს და მხსნელი კი არაინ ჩნდება.

*) მხოლოდ საქირთა შევიტყათ, ეს ჩინური საიდგან გაუჩნეთ ჩვენში და ან ჩამამელობით რომელს ქვეყანას ვკუთვინს.—

უსხო ქვეყნები

საფრანგეთი

თფილისში ერთ კერძო პირს მოუვიდა შემდეგი დეპეშა ბამბეტასგან: „მონარხიელი წინადადება არ შეტანილა ნაციონალურ კრებაში და არც შეიტანება. მონარხის დარსება შეუძლებელი საქმე შეიქნა. რესპუბლიკის არსებობა შეურყეველი და უეჭვია.—ბამბეტა.“

„ბამბეტის“ დეპეშები და დღევანდელი რუსული გაზეთები აი რა ნაირათ ხსნიან მონარხიელების საბოლოო დამარცხებას: „შამპორის გრაფს, როგორც ძლიერ ბევრ მონარხიელებს (მაგალითად რაულ-ლეულს და სხვ.) დაუნახავს მთელი საფრანგეთის წინააღმდეგობა, და გამოუცხადებია, რომ ჩემს უწინდელ აზრებზე და განზრახვებზე ხელს არ ავიღებო. ამის გამოისობით თვითონ მონარხიელებს მიუტოვებიათ მონარხის დაარსების საქმე და განუზრახვეთ მაკ-მაჰონის თავმჯდომარობის ვაგრძობა.“

ეს დიდი გამარჯვებაა რესპუბლიკისთვის, მაგრამ საქმე ეხლა იმაშია, როდის დაიშლება ნაციონალური კრება და როდისთვის დაინიშნება ახალი დეპუტატების ამოსარჩევლათ საზოგადო კენჭის ყრა. აი, როცა ეს ახალი კრება შეიყრება, მართა მაშინ შეიძლება დარწმუნებით სთქვას კაცმა, რომ რესპუბლიკა მტკიცედ და სამუდამოთ დაარსდა საფრანგეთში.

სამართალი

ბაზენის პროცესი

ბ) საფრანგეთის ჯარის მდგომარეობა აგვისტოში 1870.

რმის გამოცხადების შემდეგ ნაპოლეონმა განკარგულება ჰქნა, რომ საფრანგეთის ჯარი აღმოსავლეთისკენ წასულიყო, ბერმანის საზღვრის გადასავლელათ. ეს ჯარი რამდენიმე კორპუსათ იყო გაყოფილი, და თითო კორპუსს თავისი საკუთარი დანიშნულება, თავისი უფროსი და განკერძოებული მდგომარეობა ჰქონდა. მრთ ამ გვარ კორპუსს უფროსათ ჰყვდა ბაზენი, მეორეს — მაკ-მაჰონი, მესამეს — ჩოროსარი, მეოთხეს — ჩალი, და სხვ. და სხვ.

იმ ადგილას, საცა რმის დაწყების დროს საფრანგეთის ჯარი იდგა, ბერმანისა და საფრანგეთის საზღვარს შეადგენენ მთები და გორები, რომლების გადავლა ადვილი საქმე როდია, განსაკუთრებით ცხენოსნისა და ბარგისათვის. სასიარულო გზა ამ მთებს შუა ორიდევ მდინარეებს და ხეობებს მიჰყვება, ისე რომ საფრანგეთის ჯარისთვის ადვილი საქმე იყო ამ გზების გაკავება და მტერის გაჩერება. მაგრამ ზოგი დაუმზადებლობის გამო, ზოგი მოულოდნელობით, საფრანგეთის ღენერლებმა საქმე ისე დაიჭირეს, რომ გერმანიელებმა გაუგებრათ შემოადგეს ფეხი ყველა იმ ხეობებში, რომელზედაც საფრანგეთსა და ბერმანიას შუა გზები გადიოდნ. მრთს ამგვარ ადგილას დამარცხეს მაკ-მაჰონი, მეორე ადგილზე გალწეს ჩოროსარის ჯარი, ისე, რომ საფრანგეთის კარები გერმანიელებისთვის დაფელილი შეიქნენ და საფრანგეთის ჯარს მტეი ღონე აღარ ჰქონდა, უკან უნდა დახეულიყო და მეცის ახლო, ან კიდევ უფრო შორს, პარიჟისკენ უნდა შეეფარებინა თავი, იმისთანა ადგილას, საცა ბუნება, თავის აღმართ-დაღმართებით და გზებისა და გორების მდებარეობით, ადვილათ დაცვის და

გამაგრების საშუალებას აძლევდა.

ამ გვარ მდგომარეობაში, პირველი დამარცხებების შემდგომ, საფრანგეთის მმართველობამ საქირთოთ დინახა მთელი საფრანგეთის ჯარი ერთი კაცისთვის ჩაებარებინა და ეს კაცი იყო — ბაზენი. იმას მიანდევს მთელი ჯარის უფროსობა, იმ აზრით, რომ იმას თავისი ჯერ კიდევ ხელ-უხლებელი კორპუსი შალონისკენ წამოეყვანა, პარიჟისა და მეცის შუა გზაზე, იქ მასთან შეეერთებია მაკ-მაჰონის, ჩოროსარის და დანარჩენი ღენერლების დაწოკებული საღდათები, მიეღო პარიჟიდან ახალ-ახალი მებრძოლები, და ამ გვართ დემზადებინა ახალი არმია, რომელსაც პარიჟის სახლოვეს მტერის წინ დადგომა და მისი დამარცხება შესძლებოდა. ეს იყო მმართველობის მიზანი და ბაზენს, ამ მიზნის მისაღწევლათ, მთელი თავისი მეცადინეობა უნდა ეხმარა.

ბაზენმა თავისი დანიშნულების ამბავი და ჯარის უფროსობა აგვისტოს 13 (1) მიიღო მეცის სახლოვეს. მართლაც რომ იმას მაშინვე თავისი ჯარი მეციდამ გაეყვანა და დასავლეთისკენ გაეწია, მეცში კი მტირედი გარნიზონი დეტოვებინა, მტერი იმას ბევრს ეერას დააკლებდა. მაგრამ ბაზენი სულ სხვა გზას დადგა. მთელი ერთი დღის განმავლობაში ის იმაზე ფიქრობდა, თუ რანაირი გარდაწყვეტილება მიეღო, და ამ სახით იმან მეციდამ გამოსვლის და მოხელის მდინარეზე გასვლის დრო დაჰკარგა. როცა გერმანიელებმა დაატყეს იმას დასავლეთისკენ წასვლის სურვილი, მაშინვე ბრძოლა დაუწყეს აღმოსავლეთიდან, რომ ცოტაოდნათ მაინც შეეჩერებიათ მისი ჯარის გადასვლა მდინარეზე; ამასობაში კი ჩრიდრიხ-კარლის ჯარი სამხრეთით იმავე მდინარეში გავიდა, საფრანგეთის ჯარს და მეცს გვერდი აუარა და მეორე დღეს დასავლეთით დაუხედა ბაზენს, როცა ის პარიჟის გზას დადგა. ეს დასავლეთის გზა სამ წაწილათ იყოფოდა, და ბაზენს კიდევ შეეძლო ორი გზით გადაჩინოდა მტრისგან გაკავებულ გზას, მაგრამ იმის მაგიერ რომ მართლა დასავლეთისკენ წასულიყო, ის მაინც ბერმანიელებს შეეტაკა, ბრძოლაში გაება და ტყუილა უბრალოთ უთვალავი ხალხი გაჰლიტა, როგორც თავისი, ეგრეთვე მტრის მხრით. მაგრამ აგვისტოს 16-ის ბრძოლა მაინც ისე გათავდა, რომ ბაზენს სურვილის მტეი არა უნდოდა რა თავის გზის გასაგრძელებლათ და პარიჟისკენ წასასვლელათ. ის არც ამ გადაწყვეტილებას დადგა. მათავდა თუ არა იმ დღის ბრძოლა, იმან ბრძანება გამოსცა, რომლის ძალით ჯარი ისევ უწინდელ მდგომარეობაში უნდა დარჩენილიყო, და ორი დღის შემდეგ ისევ ხელახლა შეება საბრძოლველათ სამჯერ თუ ოთხჯერ უფრო გაძლიერებულ მტერს, რომელმაც, რასაკვირველია, მისი ჯარი დამარცხა და მეცის ციხეში შეჰყარა.

ამ სახით საფრანგეთის ჯარი ორ წაწილათ გაიყო. მრთი, რომელიც ბაზენთან მეცში იყო დამწყვედელი, მეცის ციხეში გაჩერდა; ისე, რომ ერთის მხრით, აღმოსავლეთით, შტინმეცის ჯარი ერთყა და მეორეს მხრით — დასავლეთით — ჩრიდრიხ-პარლის არმია. იმ ჯარს კი, რომელიც ბაზენს შალონში უტდიდა, და რომელსაც უფროსათ მაკ-მაჰონი ჰყვდა, ერთის მხრით ჩრიდრიხ-პარლის ჯარი აჩერებდა, და მეორეს მხრით — სამხრეთით — პრუსიის მემკვიდრის, ჩრიდრიხ-მილელმის არმია უყურუტებდა. ამ მდგომარეობაში ბაზენს და მაკ-მაჰონს, საფრანგეთის მმართველობის აზრით და ბრძანებით, ერთმანერთთან შეერთება უნდა მოეცინათ, და ბაზენის პირველი ნაბიჯები

კიდევ ამ პლანის შესრულებას უნდა ეხმარებინათ. მაგრამ იმ სამი გამწარედილობის დროს, რომელიც მეცის გარემო აგვისტოს 14, 16 და 18 მოხდა, ბაზენმა არ მოინდომა ან ვერ მოახერხა დასავლეთის გზით ჯარის წაყვანა; იმან ღრო დაკარგა, ჯარი ხან წინ წასწია, ხან ისევ მეცისკენ დააბრუნა, და იმოდენი იტირალა, რომ 18 აგვისტოს გერმანიელი ჯარის უმთავრესმა ნაწილმა იმას დასავლეთის გზა თლათ ერთიანათ შეუკრა და მეცში დაბრუნების მეტი სხვა საშუალება აღარ დაუტოვა. ამგვართ ბაზენის ჯარი დამწყვედელ იქნა მეცის ციხეში.

ამასობაში მაკ-მაჰონის დამარცხებულ ჯარს შალონში ახალ-ახალი რაზმები მოემატა, ისე რომ ორი კვირის განმავლობაში მის ხელქვეით გვარიანი არმია მომზადდა. ეს არმია, მაკ-მაჰონის და ბევრი სხვა მხედართმთავრების აზრით, პარიჟისკენ უნდა დაბრუნებულიყო და პრუსის დასაცველად უნდა გამოეყენებულიყო. მაგრამ ერთის მხრით მაშინდელმა სამხედრო მინისტრმა, პალიკომ (ტუშენ-დე-მონტობანმა), და მეორეს მხრით ბაზენმა მაინცა და მაინც მოინდომეს ხელახლავ შეერთებინათ მაკ-მაჰონის და ბაზენის ჯარები. ბაზენმა, როგორც ყველა საფრანგეთის ჯარების უფროსმა, მაკ-მაჰონს, თავის ხელ-ქვეითს, დეპეშა გაუგზავნა, მე ჩემ ჯარს მეციდამ გამოეყვან და ჩრდილოეთის გზას დავადგები, რომ მონმედის და სეღანისკენ წაიდეო. ამ დეპეშის თანახმად მაკ-მაჰონმაც შალონიდამ თავისი ჯარი გამოიყვანა და რეიშის და სეღანის გზას დადგა, სადაც იმას ბაზენის ჯარები უნდა მოშველებოდნ.

ბაზენს ამ პლანის ასრულებაში მოსაყვანათ ხელიც არ გაუძრევიდა. ის უწინდელურათ მეცში დარჩა, თუმც მაკ-მაჰონის დეპეშა კი მუეიდა სეღანისკენ მიედიარო. მაკ-მაჰონს გვერდ-გვერდა გამოუდგა ჩრიდრიხ მილელმის არმია, რომელმაც იმას თავი აუარა, და სეღანის სახლოვეს წინ დაუხედა. იქვე ჩრიდრიხ-მილელმს დაეხმარა მეციდამ-გამოგზავნილი საქსონიის პრინცი ჯარი, და ამ შეერთებულმა ძალამ, სამი დღის ბრძოლის შემდეგ, მაკ-მაჰონის ჯარი დაამარცხა, სეღანი აიღო და მთელი ჯარი მაკ-მაჰონით და ნაპოლეონითურთ მტყვეთ დაიპყრო. ამ გამარჯვების შემდეგ ესეც არმია პარიჟისკენ წაიდა, საფრანგეთის სატახტო ქალაქის ასაღებათ.

მაშასადამე ბაზენი მეცში დარჩა ჩამწყვედელი, მაგრამ ისე, რომ ჩრდილოეთის გზა მის წინ ჯერ კიდევ გახსნილი იყო. მეცის სახლოვეთ ბაზენს უღარაჯებდა ჩრიდრიხ-პარლის ჯარი. ამ მდგომარეობაში ბაზენს სურსათის დამარაგება მაინც უნდა ეფიქრნა, მეცს გარემო რაც ყანები და ჭერები იყო ყველგნით პური და საქმელ-სასმელი მეცში უნდა შეეტანა, გაკარგულება უნდა ექნა, რომ თითოეულ მცხოვრებს, თითოეულ საღდათს და ცხოველს პორციობით დარჩებოდა სასმელ-საქმელი და სხვ. და სხვ. მაგრამ იმას არც ერთი ამგვარი გადაწყვეტილება არ მიუღია, და არც ერთი განკარგულებით არ გამოუჩინა, რომ იმას მართლა დიდხანს უნდოდა მეცის ციხის დაცვა და მეცთან ჩრიდრიხ-პარლის არმიის გაჩერება.

შემდეგი სტატუმიდამ დავინახავთ რა წაირათ უნდოდა ბაზენს ამ გარემოებებით და მდგომარეობით სარგებლობა თავისი საკუთარი პიროვნობისთვის.

6. სკანდელი.



მოქმედი მსაჯულთაზე

თითქმის ყოველ მერობის სახელმწიფო-ების სისხლის-სამართლის კანონ-მდებლობაში არსებობს ერთ გვარი დაწესებულება, რომელსაც ეწოდებენ „მოციქართ-მსაჯულებს“ (Судьи присяжных). პირნი, რომელნიც შეადგენენ ესრეთ მსაჯულებას, არიან არჩეულნი ყოველ წოდებისაგან საზოგადოებისა, ყოველ მის სფერისაგან, განურჩევლად: სარწმუნოებისა, მდგომარეობისა, შეძლებისა და სხვ., რომლის გამოისობითაც ისინი ითვლებიან „წარმომადგენელად საზოგადოებისა სინდისისა“. მიუხედავად მისა, რიცხვითა შორის მოციქართ მსაჯულებათა შევლიან მხოლოდ ისინი, რომელნიც შეიცვენ თვის შორის რომელთავე კანონთაგან დადგენილთა, თუ გარეგანთა—ნივთთაგან, და თუ შინაგანთა—ზნეობითა, რომელთაც ეწოდებენ ცენზი (цензу). არსებობენ მოციქართ-მსაჯულთა — მდგომარეობენ შემდგომში: სხდომასა ზედა სამსაჯულოისა, მოსამართლენი—იურისტები, მოახდენენ მათ, მოციქართ მსაჯულების, წინ დათანდასწრებით მსაჯულებრივ გამოძიებას დანაშაულობასა ზედა რომელიმე ბრალდებულისა, აღმოჩენით ყოველთა ფაქტებთა და გარემოებათა, რომელნიც არიან მოყვანილნი საქმეში როგორც წინააღმდეგ და გასამტყუნებლად ბრალდებულისა, ვგრეთვე მის სასარგებლოდ და გასამართლებლად, ესე იგი გაუმჯობეს და წარმოადგენენ მათ ყოველ ფაქტიკურ მხარეს მი საქმისას, რომლისთვისაც ასამართლებენ დამნაშავეს; და ყოველთა ამებთა ასრულებენ, ერთის მხრით, აგენტი მმართველობისა—პროკურორი, რომელიც მეცადინეობს რათა აღმოაჩინოს საქმიდან გამამტყუნებელი ბრალდებულისა ფაქტები და გარემოებანი, ხოლო მეორეს მხრით—ადვოკატი, მთელი მეცადინეობა რომლისა მდგომარეობს ან შესუბუქებასა ან სრულიად განთავისუფლებასა შინა თავის კლიენტისა, წარმოდგენითა ყოველთა მათ გარემოებათა, ფაქტებთა და დამტკიცებებთა, რომელნიც მსახურებენ შესაწევნელად და გასამართლებლად ბრალდებულისა, მისის კლიენტისა. შემდგომ ამების მოსმენისა, მოსამართლენი, იურისტები მიიქცევიან მოციქართ-მსაჯულთადმი კითხვითა: „დანაშაულია, თუ არა ესა და ეს ბრალდებული ამა და ამ დანაშაულობასა შინა?“ მოციქართ-მსაჯულნი, შემდგომ რამოდენიმე ხნის ურთიერთ შორის, ცალკე რაობაში, მოლაპარაკებისა და განსჯისა, გამოვლენ და განაჩენენ სამართალს თქმითა: „დიახ, დანაშაულია“ ანუ „დიახ დანაშაულია, მაგრამ დაიმსახურებს შესუბუქებასა“, ანუ „არა, არ არის დანაშაული.“ უკანასკნელ შემთხვევაში, მოსამართლენი მსწრაფლ განათავისუფლებენ ბრალდებულსა ყოველივე სასჯელისაგან და მაშასადამე იგი შეიქმნება სამართლისაგან გამართლებული; ხოლო პირველ შემთხვევაში მოსამართლენი, იურისტები მოაწყობენ ანუ მიუპირდაპირებენ უკვე ცნობილ და დამტკიცებულ დანაშაულობას შესაფერ. სისხლის-სამართლის კანონებს და მით გასამართლებენ ბრალდებულს, ესე იგი გარდასწყვეტენ დასჯას მისა.

პი ფრიად შემოკლებით და რამოდენიმე სიტყვით გამოთქმული ის სისხლის-სამართლის დაწესებულება, რომელსაც ჰქვია მოციქართ მსაჯულება. აწ უჩვენებ მკითხველს კვალად რამოდენიმე სიტყვით, მას,

თუ თავდაპირველ მერობის სახელმწიფო-ებში, რომელმან ჰაზრმან დაჰბადა საჭიროება განწესებასა შინა მოციქართ მსაჯულებისა, ანუ სხვებრ ესთქვათ, რაში მდგომარეობს არსებითი, შინაგანი მნიშვნელობა მოციქართ მსაჯულების დაწესებულებისა. ჩვენის აზრით, აი რაშიდ: უწყვეტულია, რომ პირველი და უმთავრესი მოვალეობა თეთვეულისა მმართველობისა მდგომარეობს, სხვათა შორის, იმაში, რომელ საკუთრება, პიროვნება და პატიოსნება თეთვეულისა ქვეშევრდომისა იქმნენ მტკიცედ დაცულ და დამარხულ თეთ მნებელობითი მძლავრობისაგან გარეშე პირთა, ამისთვის, რათა ესრეთი მოვალეობა თეთსი მმართველობამ აღასრულოს ჯეროვნად და სამართლიანად, იგი აწესებს სისხლის სამართლის კანონებს, რომელნიც პირველად განსაზღვრენ თეთვეულად თუ სახელდობ რომელი მოქმედება ქვეშევრდომისა უნდა შეირაცხებოდეს სისხლის სამართლის დანიშნულებად და მაშასადამე ღირსად დასჯისა; მეორედ, რომელ დანაშაულებს, რომელი ანუ რა გვარი დასჯა უნდა მოსდევდეს. რასაკვირველია, ამ გვარი დანიშნულების სახელწოდებაში და მათ განსაზღვრაში მმართველობა ხელთმძღვანელობს—ანუ უნდა ხელთმძღვანელობდეს—ი პრინციპით: თუ რომელი მოქმედება ეწინააღმდეგება ზნეობითსა გრძნობასა საზოგადოებისას, რომელი მოქმედებაც შემუსერის, ააღვლევებს და ააშფოთებს საზოგადოებრივ სინდისსა, ის მოქმედება, და მართლ ის მოქმედება, უნდა შეირაცხებოდეს დანაშაულებად და მხოლოდ იმ მოქმედებას უნდა დევნიდეს და სჯიდეს კანონი, მაგრამ რადგანაც მმართველობა, კანონთ მდებლობითი დაწესებულება არ არიან შეუცდომელნი თავიანთ მოქმედებაებში, ისინი არ მოქმედებენ ესრედ ესთქვათ სულის წმინდის ძალით, რომელ ყოველ მათ მოქმედებას ერტყას ბეჭედი შეუცდომლობისა; ამისთვის, ყოველ კეთილ-დაწყობილ სახელმწიფოში არსებობს ანუ უნდა არსებობდეს იმ გვარი დაწესებულება, რომელსაც შეეძლოს გასწორება ზემოთქმულ კანონმდებლობითისა შეცდომილებისა და ვის ძალუძს ამ გვარ შემთხვევაში ესრეთი გასწორება? უსათუოდ და ლოგიკურად, იმ ზნეობით გრძნობას იმ საზოგადოებრივ სინდის, რომლის დასაცველად არსებობენ სისხლის სამართლის კანონნი, და რომლის წარმომადგენელად სამართლიანად ითვლებიან მოციქართ მსაჯულნი. მაშასადამე, უკეთუ რომელიმე მოქმედება ქვეშევრდომისა, თუმცა-და წოდებული კანონთაგან დანაშაულებად, არ შეადგენს ესრედსა თვალთა შინა საზოგადოებრივისა სინდისისა, არ ეწინააღმდეგება საზოგადოების ზნეობით გრძნობას, ან უკეთუ შეადგენს და კიდევ ეწინააღმდეგების, მაგრამ მაინც დაწესებული მისათვის სასჯელი არ ეპასუხების სიმძიმესა დანაშაულობისას, ესე იგი კანონი სჯის დამნაშავეს უზომოდ და უმეტეს მისა, რომელსაც იგი დაიმსახურებს, ამ შემთხვევაში კანონთ-მდებლობითი შეცდომილებანი განისწორებინ მით, რომ მოციქართ მსაჯულნი ანუ სრულებით გამართლებენ ბრალდებულსა, ანუ შეუსუბუქებენ სასჯელსა იმ მოქმედებისათვის, რომლისთვისაც ესრედ მკაცრად სჯის მას კანონი.

ყოველ ზემოთქმულთაგან მკითხველი, ეიმედოვნებ, დაინახავს თუ რა დიდი უპირატესობა აქვს სამართალსა მოციქართ-მსაჯულ-

თა, წინაშე სამართლისა რურისტებთა.— შეშმარტს ღირსებას მოციქართ-მართლმსაჯულებისას შეადგენს დედა-აზრი საერო, სახალხო სამართლისა; ხოლო უმთავრესი დედა-აზრი იურის-მსაჯულთა არს ულაპარაკო, გულციობრივი აღსრულება კანონისა, მაშინ როცა მოციქართა კანონი ვერ ავიწროებს, მათ მოქმედებას არა აქვს ანუ ანუ, იგინი არიან პასუხის მგებელნი მხოლოდ წინაშე თავიანთ სინდისისა და ხელთ-მძღვანელობენ მართლ შეგონებით თავიანთი გულის-ტანჯვისა და ზნეობითისა მოვალეობისა, ამისთვის იგინი მხოლოდ მათ ემორჩილებიან თავიანთ მსაჯულებრივ გამჭირაობასა შინა.

პეტრე ჩაიქოვი.

განცხადება

ძარგი შუქნებასი ყველი, და მაშინით გაწმენდილი მთის თაფლი იყიდება შევიცარიის მაღაზიაში, ბოლოვინსკი პროსპექტზე, მრბელიანის სახლში

რადგანაც უმაღლესი მთავრობა მტკიცედ მოითხოვს, რომ მთელი სისხლის ქალაქში დარჩენილი გადასახალი ძლიერ ჩქარა შეიკრიბოს, ამისგანა ქალაქის საგამგებოს კანცელარია აცხადებს საყოველთაოდ, რომ ვინც მთელი სისხლის მცხოვრებთაგან 1874 წლამდის შესახვედრს თავის საწილოს სახელმწიფო ხარჯს ამოკტომბრის 25 რიცხვამდის არ გადინდის, იმისი მოძრავი ქონება გაისყიდება და უძრავი ქონების შემოსავალი დაიჭირება, გადასახალი-წესდების მგებუთე ტომის 651 მუხლის თანახმად.

ბიბლიოგრაფიული განცხადება

ბიბლიოგრაფიული განცხადება, ტრაველია ალფიერისა, თარგმნილი იოსებ ბაქრაძისაგან, ისყიდება მთელი სისხლის: მართანოვისა და მნუანჯიანის წიგნების მაღაზიაში; მთუთისში: სასულიერო სემინარიაში; ბორში ძამოვეის წიგნების მაღაზიაში; თელავში, სიღნაღში და სხვა ადგილებშიც ამ მოკლე ხანში გაიგზავნება.

სომხური გაზეთი „სომხეთის შუტკარი“ მომავალს 1874 წელს გამოიცემა ყოველ კვირათბით ჩემს რედაქტორობას ქვეშ და იმავე ფორმატით. წლის ფასი, როგორც ქალაქში ისე ქალაქს გარეთ ხელის მომწერლებისთვის ისევე შეიდი მანეთი არის.

ხელის-მოწერა მიიღება მთელი სისხლის:

- ა) რედაქციაში—მანქის ქუჩაზე, ტელეგრაფის სტანციის მახლობლად, ს. მართანოვის სახლებში, ბ) რედაქციის კანტორაში, რომელიც იმყოფება მნუანჯიანისა და კამბ. სტამბაში, ბოლოვინის პროსპექტზე, დოქტორის როტინიანის სახლებში, გ) მნუანჯიანის თამბაქოს მაღაზიაში გენერალი არწრუნის ქარვასლაში, № 3.

ქალაქს გარეთ მყოფთ უნდა გამოგზავნონ ხელის-მოწერა განსაკუთრებით შემდგენი ადრესით:

Въ Тифлисѣ, въ редакцію газеты „Пчела Армєніи.“

რედაქტორი პ. სიმეონიანი.

Бриллиантовые

золотыя и серебряныя вещи, изящной работы и новѣйшихъ фасоновъ, продаются, весьма дешево, въ новомъ магазинѣ бр. Камаровыхъ.

ძმ. შალაქაროვის ახალ მაღაზიაში ისყიდება ძალიან ღიაფად ახალი ფასონის ბრილიანტის, ოქროს და ვერცხლის ნივთები.

განცხადება

მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში და ივანოვის ბიბლიოთეკაში იყიდება ცალკე წიგნებთა:

„ქრებული“

№ 1, 2, 3, 4, 5—6, 7, 8 და 9. მთითა წიგნის ფასი ათი შაურია. ბარეშე მცხოვრებთ შეუძლიათ „ქრებულის“ რედაქციაში სამი აბაზის მარკა გამოგზავნონ თითო წიგნის მისაღებათ.

ბოლლანდუბი უბელი, ამოყვანილი ყველის ქარხანაში, რომელიც ბორის მაზრის მემამულეებმა გამართეს უფ. ანგლენიანის ხელმძღვანელობის ქვეშ, ისყიდება მთელი სისხლის შუ. მეთხულოვის მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზე (Дворцовая улица) არწრუნის ქარვასლაში. მთითა გირვანქის ფასი ორი აბაზია.

პატივი მაქვს განუცხადო საზოგადოებას, რომ ამ წლის პირველის ივლისიდან, ბაჟის დაწესების შემდეგ, მე უფრო გავადიდებთა ბაქოს კეთება და იმედი მაქვს, რომ კარგად დავაკმაყოფილო საზოგადოების მოთხოვნისა, როგორც თამბაქოს სიმრავლით, ისე იმისი თვისებით. მისაც სურს, შეუძლიან მივიღწენ პირდაპირ მაღაზიაში, რომელიც არის გენერალი არწრუნის სახლებში, სასახლის ქუჩაზე (ბოლანის პროსპექტზე), შტაბის ახლოს. შაბრიკა ჩემი ძონსულის ქუჩაზე, ჩემს საკუთარ სახლებში, გენერალი აგავეის სახლის პირდაპირ.

ნიკოლოზ ბოზარშინაც.

ბიბლიოგრაფიული განცხადება. დაიბეჭდა და ისყიდება მართანოვის საწიგნე მაღაზიაში, ივანოვის ბიბლიოთეკაში და მელიქიშვილის სტამბაში. გ ლ ე ხ უ რ ი ს ი მ დ მ რ ე ბ ი. ლექსები და ანდაზები. შეკრებილი რ. მარისთვის და ილ. შავეჭავიძისგან გამოცემული. ი. მელიქიშვილის და მე. ხელაძისგან ფასი ერთი შაური. ბარეშე ქალაქებში ამ დღებშივე გაიგზავნება. გასაყიდათ.